ხელშეკრულება № -4/2

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ს. მუხრანი 8.04.2022

ერთის მხრივ, სსიპ ნიკო ბაგრატიონის(ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის #1 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის სოფიო კუბლაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი გიორგი კამლაძე (პ.ნ.6000115856) (შემდგომში “მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მინის სარკის (cpv-39299300) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 630 ლარს (ექვსას ოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე მომსახურების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 1 დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან

დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით .

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლა მისამართი: მცხეთა, სოფელი მუხრანი ს/ნ: 236087621 ტელეფონი: 577 31 63 19 ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიში: GE36LB0121155284543000 ელ.ფოსტა:muxranisajaro@gmail.com სოფიო კუბლაშვილი _____	ფ.პ. გიორგი კამლაძე პ.ნ.60001158560 ტელეფონი: 571 130 102 მისამართი: ქ.ქუთაისი.ქ.ნეკიას #2 შესახვევი #16 ბანკი: ს.ს. „თიბისი“ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში: GE54TB7960545061100095 ელ.ფოსტა:apbkalma@gmail.com გიორგი კამლაძე _____

Giorgi Kamladze

Digitally signed by Giorgi Kamladze
Date: 2022.04.11 13:59:39 +04'00'

დანართი 1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია: cpv-39299300 -ით გათვალისწინებული საქონელი

№	**დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**სულ ფასი**
	მინის სარკე	ცალი	3	210	630
	სულ:				630

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ნიკო ბაგრატიონის(ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლა მისამართი: მცხეთა, სოფელი მუხრანი ს/ნ: 236087621 ტელეფონი: 577 31 63 19 ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიში: GE36LB0121155284543000 ელ.ფოსტა:muxranisajaro@gmail.com სოფიო კუბლაშვილი _____	ფ.პ. გიორგი კამლაძე პ.ნ.60001158560 ტელეფონი: 571 130 102 მისამართი: ქ.ქუთაისი.ქ.ნეკიას #2 შესახვევი #16 ბანკი: ს.ს. „თიბისი“ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში: GE54TB7960545061100095 ელ.ფოსტა:apbkalma@gmail.com გიორგი კამლაძე _____

Giorgi Kamladze

Digitally signed by Giorgi Kamladze
Date: 2022.04.11 13:59:12 +04'00'

მიღება -ჩაბარების აქტი

ს. მუხრანი 8 აპრილი 2022 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ნიკო ბაგრატიონის(ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის #1 საჯარო სკოლა შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის სოფიო კუბლაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფ.პ. გიორგი კამლაძე , წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2022 წლის 8 აპრილს დადებული ხელშეკრულება #4/2-ის თანახმად,“მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ მიაწოდა ხელშეკრულების დანართში მითითებული 630 (ექვსას ოცდაათი) ლარის ღირებულების , ნივთობრივად და ხარისხობრივად უნაკლო საქონელი(cpv-39299300) .

შემსყიდველი: სსიპ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლა მისამართი: მცხეთა, სოფელი მუხრანი ს/ნ: 236087621 ტელეფონი: 577 31 63 19 ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიში: GE36LB0121155284543000 ელ.ფოსტა:muxranisajaro@gmail.com სოფიო კუბლაშვილი _____	**მიმწოდებელი:** ფ.პ. გიორგი კამლაძე ტელეფონი: 571 130 102 პ.ნ.60001158560 მისამართი: ქ.ქუთაისი.ქ.ნეკიას #2 შესახვევი #16 ბანკი: ს.ს. „თიბისი“ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში: GE54TB7960545061100095 ელ.ფოსტა:apbkalma@gmail.com გიორგი კამლაძე _____

Giorgi Kamladze

Digitally signed by Giorgi Kamladze
Date: 2022.04.11 13:57:17 +04'00'